საქმის აღწერილობა

ს.წ. გაზეთ “ალიას” წინააღმდეგ

ს.წ.-მ მეზობლისგან შეიტყო, რომ მისი ფოტო, სათაურით “კრეტინები რომ არ გავხდეთ” გაზეთ “ალიაში” გამოქვეყნდა. სტატია შეეხებოდა ჩიყვის დაავადებას, ს.წ.-ს ფოტო კი ამ ავადმყოფოების საილუსტრაციოდ იყო გამოყენებული, რადგან ის დაავადებული იყო ჩიყვით, რის გამოც სახე ჰქონდა დამახინჯებული. გაზეთ “ალიას” პუბლიკაციის გამო ს.წ.-მ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მიმართა. ს.წ. ამტკიცებდა, რომ მისი ნებართვის გარეშე ფოტოსურათის გამოქვეყნებით მისი უფლებები შეილახა, რის გამოც მორალური ზიანის ანაზრაურებას მოითხოვდა.

გაზეთ “ალიას” მტკიცებით, სადავო ფოტოსურათი გაზეთის ფოტოთეკაში ინახებოდა და რედაქციამ მასზე აღბეჭდილი პიროვნების ვინაობა არ იცოდა. ფოტოსურათი გამოქვეყნდა თვალებზე შავი შტრიხით, რაც რედაქციის აზრით, იმის დასტურია, რომ ფოტო მხოლოდ დაავადების ფიზიკური გამოვლინების საილუსტრაციოდ გამოქვეყნდა. ამასთანავე, თავად სტატია კონკრეტულ პიროვნებაზე, ამ შემთხვევაში ს. წ.- ზე, პირდაპირ მინიშნებას არ შეიცავდა.